



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N018/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი ჩიკვილაძე (სტუდენტი)

1. შეკითხვა

შესაძლებელია თუ არა ადვოკატთა ასოციაციის წევრის მიერ საკუთარ ბლანკსა და ბეჭედზე სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება.

2. ანალიზი

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ცალსახად არ არის მოწესრიგებული კანონმდებლობით, თუმცა ასოციაციის სიმბოლიკა გამოიყენება სწორედ ასოციაციის სხვა ორგანოებთან ურთიერთობისას, შესაბამისად, ის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, დამოუკიდებლად, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ამიტომ, ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირისა და საადვოკატო ბიუროს, როგორც კონკრეტული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირის გაიგივება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან დაუშვებელია, რადგან ამ უკანასკნელის პოზიცია არ უნდა იქნეს გაიგივებული ასოციაციის ოფიციალურ პოზიციასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 1.(2), 22 მუხლები და ადვოკატთა ასოციაციის წესდების 12.(2) „თ“ ქვეპუნქტი).

ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება შეიცავს საფრთხეს, რომ ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო გაიგივდება ადვოკატთა ასოციაციასთან, რომ სწორედ ასოციაცია არის ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი, რის გამოც შესაძლოა მომხმარებელი შევიდეს შეცდომაში, ეგონოს რა, რომ ადვოკატი მოქმედებს ასოციაციის სახელით, ამიტომ აუცილებელია ასოციაციისა და სხვა სუბიექტების მკვეთრი გამიჯვნა ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აწესებს ერთიან სტანდარტს მისი წევრების მიმართ, ადვოკატის მიერ ასოციაციის სიმბოლიკის გამოყენებამ კი შესაძლოა აღნიშნული ერთიანი სტანდარტი დაარღვიოს და წარმოშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე, როდესაც აღნიშნული ატრიბუტიკის გამოყენებით ხდება გამომყენებლის მიერ მესამე პირების მიმართ სანდოობის ხარისხის მომატების შესაძლებლობა, რაც აღიქმება, როგორც ასოციაციის ერთიანი სტანდარტების დარღვევა.

¹<https://www.gba.ge/pdf/5c7fc1e6b81b7.pdf/18%20November%202013%20018.13%20ერთვის%20განსხვავებული%20აზრი.pdf>



3. დასკვნა

ასოციაციის ატრიბუტიკის გამოყენებამ შესაძლოა მესამე პირი, მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში. ატრიბუტიკის გამოყენებით უნდა ცხადდებოდეს მხოლოდ ასოციაციის ოფიციალური პოზიცია. სხვა პირის მიერ სიმბოლიკის გამოყენება არღვევს ასოციაციაში მოქმედ ერთიან სტანდარტებს, ამიტომ, ატრიბუტიკის ამგვარი გამოყენება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

4. განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის წევრმა წარმოადგინა განსხვავებული აზრი, სადაც აღნიშნა, რომ ეთანხმება ლოგოს გამოყენების არამიზანშეწონილად მიჩნევას, თუმცა ადვოკატს, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრს, არ უნდა ეზღუდებოდეს ლოგოს გამოყენება, სწორედ იმიტომ, რომ ასოციაციის წევრია. ასევე, ადვოკატმა ლოგოს გამოყენებისას უნდა მიუთითოს საკუთარი იდენტიფიკაციის მონაცემები, რათა არ მოხდეს აღრევა მომხმარებლის თვალში და ამ უკანასკნელმა რეალურად გაიაზროს თუ ვისი სახელით მოქმედებს ადვოკატი.